MES 1 20 0000641238

28/07/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 17 ივლისს.**
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **VET Authorization**
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნინოს სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“
ფრიდონ ბუაძე - დირექტორი
დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
გრიგოლ დვალი - იურისტი

სსიპ - კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
მამია ჯანჯალია - დირექტორი
თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე
დიანა გახარია - ხარისხის უზრუნველყოფის და პროგრამების მენეჯერი
ირაკლი სალუქვაძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი

ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“
ნანა ჯოლია - დირექტორი
ნანა ფაჩუაშვილი - დირექტორის მოადგილე
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ნაზიბროლა ყაზაიშვილი - იურისტი

სსიპ - კოლეჯი ,,აისი“
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო დარგში

შპს კოლეჯი „სიო“
გიორგი სიორდია - დირექტორი

ექსპერტები:

მანანა მოისწრაფიშვილი
ვანო ოთხოზორია
თამარ რემიშვილი
დავით გუდაძე
ალინა კუპრავა
გიორგი დათუკიშვილი
ნანა შარაბიძე
ალექსანდრე კეკენაძე
ნანა ბარნაბიშვილი
დარეჯან კვატაშიძე
ქეთევან ღვანიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
5. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს კოლეჯი „სიოსთვის“ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ განხორციელებული მონიტორინგის დასკვნის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განხილვისა და შეფასების შესახებ ექსპერტთა ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა დღის წესრიგში მცირე ცვლილების შეტანა, კერძოდ, მე-8 საკითხის პირველ საკითხად განხილვა, რადგან იგი ეხებოდა გადაწყვეტილებაში კოდის ცვლილებას და არ საჭიროებდა არსებით მსჯელობას. მის შემდეგ კი საბჭოს წევრები განიხილავდნენ სხვა დანარჩენ საკითხებს.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს განახლებულ დღის წესრიგს და თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შემდეგი სახით დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
5. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს კოლეჯი „სიოსთვის“ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ განხორციელებული მონიტორინგის დასკვნის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განხილვისა და შეფასების შესახებ ექსპერტთა ანგარიშის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საკითხის განხილვის დაწყებამდე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს აცნობა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ვერ ესწრება საბჭოს სხდომას, თუმცა არსებობს მინდობილობა იმ პირის თაობაზე, რომელსაც ანიჭებს უფლებამოსილებას, წარმოადგინოს კოლეჯი.
დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამაში კვალიფიკაციის კოდის ცვლილებას. კოდის შეცვლის საჭიროების თაობაზე საკითხი წამოჭრა თვითონ კოლეჯმა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წერილის საფუძველზე, რომლის თანახმად, მევენახეობა - მეღვინეობის პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა-მეღვინეობაში - შესაბამისი კოდი ნაცვლად 0811-სა, რაც მითითებულია გადაწყვეტილებაში, უნდა იყოს 0888, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა,

კვალიფიკაციის განვითარების სამსახურისგან დამატებით მოითხოვა დადასტურება, რაზეც მიიღო პასუხი, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში არის ტექნიკური უზუსტობა, ადასტურებენ, რომ უნდა მიეთითოს კოდი 0888. სამსახური შუამდგომლობს კოლეჯს საბჭოს წინაშე და გთხოვთ, შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება აღნიშნულ გადაწყვეტილებაში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

2. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ნანი დალაქიშვილს და ავტორიზაციის ექსპერტებს, ვინაიდან სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“ მეორე, „ელექტროობის“ პროგრამაზეც, იზრდიდა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, დროის დაზოგვის მიზნით, ორივე საკითხის წარდგენისთვის მოესმინათ და შემდეგ ორივესთვის ეყარათ კენჭი, რაზეც მიიღო თანხმობა ნანი დალაქიშვილისა და ექსპერტებისაგან.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მანანა მოისწრაფიშვილს.

მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის 18 და 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 6 ივნისის N434193 ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანში" განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის უფლების მოპოვების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. ამბროლაურში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტებთან დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სსიპ - კოლეჯი „ერქვანის" სტრატეგიულ გეგმაში და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში განხორციელებული იყო ცვლილებები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ვიზიტის დასაწყისში, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მიაწოდეს და შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა განახლებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან შედგა კონსტრუქციული და საქმიანი თანამშრომლობა.

ექსპერტი გადავიდა წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხზე და დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ წინა ვიზიტის შედეგად გაცემული იყო სამი რეკომენდაცია, რომელთაგან ორი შესრულებულია, ხოლო ერთი შესრულების პროცესშია.
სრულად გათვალისწინებულია 1-ლი და მე-3 რეკომენდაციები, კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დროს მკაცრად დაიცვან სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რეგულაცია პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურის შესახებ;
- დაწესებულებამ დროულად განახორციელოს ყველა ცვლილება ახლად დამტკიცებული წესდებით განსაზღვრული სტატუსის და სახელწოდების შესაბამისად.

ხოლო მე-2 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული მასწავლებლების მიერ CISCO ავტორიზებულ აკადემიაში ინსტრუქტორის გადამზადების კურსის გავლას, შესრულების პროცესშია, გამომდინარე იქიდან, რომ

დაწესებულების მიერ CISCO IT-essential სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსის მოპოვების მიზნით, მივლინებული იყო პროფესიული განათლების ერთი მასწავლებელი, რომელმაც გაიარა კურსი და უახლოეს მომავალში ჩააბარებს სასერტიფიკატო გამოცდას.

მანანა მოისწრაფიშვილმა განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.1.1
გასწორდეს ტექნიკური შეცდომა დოკუმენტში „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსის მოპოვება“ და ნაცვლად მითითებული დოკუმენტისა ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით, შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“.
კომპონენტი 2.2.1
მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის, რომლის ყველა თემატიკის სწავლება ხორციელდება დაწესებულებაში, სასურველია, განხორციელების მიდგომები დაზუსტდეს და განხორციელდეს პროფესიული სტუდენტებისთვის მიზნობრივი ექსკურსიის ორგანიზება საწარმოში.
კომპონენტი 2.4.2
სასურველია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი დაიხვეწოს და მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამასთან,
წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს, რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. გარდა ამისა, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია.

ამის შემდეგ ექსპერტმა იასუბრა იმ გარემოებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც დაწესებულება გეგმავდა არსებული კვოტის (14 სტუდენტი) გაზრდას 28 სტუდენტამდე და აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობისას აღნინული პროგრამა გადამოწმდა მეორე სტანდარტის ყველა კომპონენტისა და ინდიკატორის მიხედვით, ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალური რესურსი, შედგა გასაუბრება მოდულების განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დაწესებულებას გააჩნია საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომ აღნიშნული რაოდენობა (28 სტუდენტი) მიიღოს ერთ ცვლაშიც კი, ამასთან ერთად მათ რჩებათ არჩევანი, რომ აღნიშნული ზღვრული რაოდენობა გადაანაწილონ 2 ცვლაზეც.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე მეორე ექსპერტს, ვანო ოთხოზორიას, რომელმაც დაადასტურა თავმჯდომარის, მანანა მოისწრაფიშვილის მოსაზრებები და როგორც დარგის

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის მდგრადობას და სასწავლო პროცესის ორგანიზებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და დაწესებულებას თავისუფლად შეუძლია 28 სტუდენტის მიღება და შესაბამისი პროცესების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული სამივე რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე, რომელიც ეხებოდა იგივე კოლეჯის პროგრამაზე „ელექტროობა“ ზღვრული რაოდენობის გაზდას და სიტყვა გადასცა აღნიშნულ წარმოებაში მონაწილე ექსპერტებს, თამარ რემიშვილსა და დავით გუდაძეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომდარემ, თამარ რემიშვილმა, საბჭოს წევრებს მიმართა, რომ დროის დაზოგვის მიზნით, იგი აღარ გაიმეორებდა იგივე გარემოებებს, რაზეც უკვე ისაუბრა მისმა წინამორბედმა ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა და უშუალოდ პროგრამის სპეციფიკაზე ისაუბრებდა. მან აღნიშნა, რომ როგორც ვიზიტის მსვლელობისას დადგინდა, ამ შემთხვევაშიც, დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსი სრულად იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ყველა პროცედურის დაცვით დაორგანიზდეს გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში, ერთ ცვლაშიც კი, თუმცა აქაც რჩება მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის 2 ცვლაზე გადანაწილების ვარიანტიც. შემდეგ დაიმოწმა დარგის ექსპერტი, დავით გუდაძე, რომელიც დაეთანხმა, რომ დაწესებულების აღჭურვილობა და ზოგადად მატერიალური რესურსი იძლეოდა საშუალებას, რომ დაწესებულებამ კვოტა გაიზარდოს 24 სტუდენტამდე.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გაცემული რეკომენდაცია გააცნო, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

კომპონენტი 2.4.2
ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით. მათ მიერ მოხდა ხარისხის მართვის მენეჯერის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესწავლა. გეგმაში განსაზღვრულია შესასრულებელი ღონისძიებები, მოსალოდნელი შედეგი, შესრულების ვადა და შემსრულებელი, მათ შორის წლის ბოლომდე ვერიფიკაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

რეკომენდირებულია, მოხდეს მიმდინარე „ელექტროობის“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის შეფასების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესმა უნდა დაადასტუროს, რომ შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები არის ზუსტი. დოკუმენტში „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“ ნათლად უნდა განისაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელების მიმართულებები: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ უნდა შეფასდეს, თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. ამის შემდეგ რისკების ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა.

ექსპერტმა თამარ რემიშვილმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა დაწესებულების აუდიტორიების, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსის ფოტოებისგან შემდგარი პრეზენტაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამა (ელექტროობა), მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ზომებს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწორედ ამ საკითხს, რაზეც საბჭოს წევრებმა დარგის ექსპერტისგან მიიღეს არგუმენტირებული პასუხი, რომ სტუდენტთა უსაფრთოხებისთვის ყველა ნორმა დაცულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეგებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტებს და გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა ვერიფიკაციის მექანიზმებთან დაკავშირებით, სთხოვა დაეკონკრეტებინა, თუ რაში მდგომარეობდა აღნიშნული დოკუმენტის უფრო დახვეწის საჭიროება, რაზეც თამარ რემიშვილმა მიუგო, რომ დოკუმენტი, რომელიც ვიზიტის მსვლელობისას შეისწავლეს ექსპერტებმა, იყო ძალიან ბუნდოვანი, სადაც არ იყო გამოკვეთილი ვერიფიკაციის პერიოდები, პასუხისმგებელი პირები, პროცედურები და მიმართულებები. თუმცა ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ დოკუმენტი, რომელიც ამ მომენტისთვის ატვირთულია დაწესებულების ვებგვერდზე, გაცილებით დეტალიზებული და სრულყოფილია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კოლეჯმა იმუშავა ამ მიმართულებით და ექსპერტთა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) დანართით განსაზღვრულ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 28-ით **(დანართი 2).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ერქვანისთვის“ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) დანართით განსაზღვრულ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 24-ით **(დანართი 3).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.

4. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აღნიშნულ ვიზიტში მონაწილე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნანა შარაბიძეს, რომელმაც დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით და განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ნანა შარაბიძე, ალექსანდრე კეკენაძე) დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების და საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა 2020 წლის 19 ივნისს, სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“, ქ. თბილისში, წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და მოახდინა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების სატელეფონო ინტერვიურება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების პირადი საქმეები,

გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მარეგულირებელ დოკუმენტებს და გადაამოწმა მათი გამოყენების პირობები. ვიზიტის ბოლოს ჯგუფის წევრებმა ძირითადი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს.

ვიზიტის მსვლელობის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ერთი შესაბამისობის რეკომენდაცია შეხსენების სახით, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობის შეძენა დაასრულონ გაუმჯობესების გეგმით გაწერილ ვადებში (2020 წლის სექტემბრის ბოლომდე), რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილი საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო ამ მომენტისთვის აღნიშნული აღჭურვილობის შეძენის საკითხი, რაზეც ნანა შარაბიძემ მიუგო, რომ მისი ინფორმაციით, როგორც დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, შესყიდვის ნებართვა უკვე გაცემულია სახელმწიფოს მხრიდან, ტენდერი დასრულებულია და სექტემბრის ბოლოსთვის შეძენილი აღჭურვილობა უკვე კოლეჯის სივრცეში იქნება განთავსებული.

სიტყვა გადაეცა დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის და განმარტა, რომ პანდემიიდან გამომდინარე, ყველა შესყიდვის პროცესი გაჩერებული იყო და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ვიზიტამდე ვერ მოესწრო აღნიშნული აღჭურვილობის შესყიდვა. თუმცა დაწესებულებამ უკვე მიიღო ხელმოწერილი თანხმობა საქართველოს პრემიერ-მინისტრისაგან, დასრულდა ტენდერი, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და სექტემბრის ბოლოს ლაბორატორიული აღჭურვილობა უკვე შესყიდული და ადგილზე განთავსებული იქნება.

მსჯელობა გამოიწვია შემდგომი მონიტორინგის თარიღის ჩანიშვნის საკითხმა. დეტალების დაზუსტების შემდეგ მონიტორინგის ბოლო თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 6 ოქტომბერი, თუმცა, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, როგორც კი ადგილზე ექნება აღჭურვილობა, იგი გადახდის ქვითართან ერთად გამოაგზავნის წერილს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და მოითხოვს მონიტორინგის განხორციელებას. ცენტრის წარმომადგენელმა, მონიტორინგის კოორდინატორმა, ნინო სტეფანიშვილმა განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში ცენტრი აღარ დაელოდება 6 ოქტომბერს და მონიტორინგის პროცედურების დაგეგმვას შეუდგება აღნიშნული წერილის მიღებისთანავე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,
სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **დანართი 4)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.

5. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ალინა კუპრავას, რომელიც იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სტატუსით აღნიშნულ ვიზიტზე.

ალინა კუპრავამ განმარტა, რომ ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 4 ივნისის ბრძანების საფუძველზე სსიპ - კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის მსვლელობის დროს არანაირი ხარვეზი არ გამოვლენილა, ხოლო ის მცირე რეკომენდაციები, რომელიც დაფიქსირდა, დაწესებულებამ ჯერ კიდევ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე ყოფნის დროს გაითვალისწინა და აღმოფხვრა. შესაბამისად, დასკვნაში დამატებითი რეკომენდაციები არ არის დაფიქსირებული. გარდა ამისა, წინა ვიზიტზეც არ იყო გაცემული რეკომდენდაციები, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს არ მოუწია მათი შესრულების ფაქტის გადამოწმება.

ექსპერტმა ალინა კუპრავამ საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც ასახული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, A/B გარემო და სხვა აუდიტორიები. აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი სრულიად საკმარისია პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (რომელიც 84 სტუდენტს შეადგენს) დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულს დაეთანხმა დარგის ექსპერტი გიორგი დათუკიშვილიც.

დაწესებულების ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მათი პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობის დროს მათ სიღრმისეულად შეისწავლეს შედგენილი პროგრამის თითოეული დეტალი, განხორციელების შესაძლებლობები და რისკები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეგებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, გიორგი დათუკიშვილს, თუ რამდენად ადასტურებდა იგი დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების კვალიფიკაციას და კომპეტენციას, რაზეც მან მიუგო, რომ აბსოლუტურად ადასტურებს თითოეულის კვალიფიკაციას და დაამატა, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია კომპეტენტური კადრებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.

6. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ სიტყვა გადაეცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნანა ბარნაბიშვილს, რომელმაც საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით და განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ივნისის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2020 წლის 19 ივნისს ქ. ოზურგეთში განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31–ე მუხლის, მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა დღის წესრიგი.

ქ. ოზურგეთში სამუშაო ვიზიტის დაწყებამდე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაცნობისა და გასაუბრების დროს განხილულ იქნა მომზადებული დღის წესრიგი, რომელმაც მცირე კორექტირება განიცადა გაცნობითი პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების ნაწილში, რაც გამოიწვია პანდემიასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა. ექსპერტთა ჯგუფი შემოიფარგლა გაცნობითი პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების გადამოწმებით.

ნანა ბარაბიშვილა აღნიშნა, რომ 2019 წელს კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასების შედეგად ექსპერტთა მიერ რეკომენდაცია არ იქნა განსაზღვრული. მიმდინარე ვიზიტის მსვლელობისას ხარვეზი არ გამოვლენილა და გაიცა მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

მოდულების თანმიმდევრობასთან მიმართებაში მოდული „ეკონომიკური ანალიზი“ სტუდენტებმა გაიარონ „ბუღალტრული აღრიცხვის“ ძირითადი პროფესიული მოდულების დასრულების შემდეგ.

ექსპერტმა იმსჯელა მატერიალურ და ადამიანურ რესურსებზე და აღნიშნა, რომ ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაწესებულება დაუბრკოლებლად შეძლებს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას და სწავლების პროცესის დაორგანიზებას ორ ცვლაში 15-15 კაციან ჯგუფებად.

საბჭოს წევრების მიერ შეკითხვა წამოვიდა დარგობრივი მოდულების განმახროციელებლების კვალიფიკაციისთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა, დარეჯან კვატაშიძემ მიუგო, რომ ისინი მოქმედი პრაქტიკოსები არიან და სრულიად აკმაყოფილებენ საჭირო კომპეტენციას.

ექსპერტებმა დაამტეს, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო გეგმაში ტექნიკურ ხარვეზს, ადგილზევე იქნა გამოსწორებული და დასკვნას თან ახლავს დაკორექტირებული სასწავლო გეგმა დანართის სახით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 6).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.

7. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარედ აღნიშნული პროგრამის დამატებასთან დაკავშირებულ ვიზიტზეც ნანა ბარნაბიშვილი იყო მივლენილი. იგი დარგის ექსპერტ ქეთევან ღვანიძესთან ერთად „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვაზე გადავიდა.

ნანა ბარნაბიშვილმა თავიდანვე აღნიშნა, რომ ამ პროგრამის გადამოწმებისასაც არ გამოვლენილა ხარვეზი და განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ივნისის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2020 წლის 18 ივნისს ქ. ოზურგეთში განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „სკოლამდელი აღრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31–ე მუხლის, მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

კომპონენტი 2.2.1
პროგრამა სპეციფიურია თავისი შინაარსით, იგი ეხება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობასა და მათ აღზრდა-განათლებას და უკეთესი იქნება მოდული „პრაქტიკული პროექტი –

სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ პროფესიულმა სტუდენტმა გაიაროს პრაქტიკის ბაზაზე, ვინაიდან მას საშუალება ექნება, ყველა გავლილი თეორიული მასალის ცოდნა გაიმყაროს რეალურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მასზე დაკვირვებითა და უშუალო მონაწილეობით. სტუდენტს მიეცემა არა მხოლოდ ექსკურსიის დონეზე (გარემოზე ვიზუალური დაკვირვება), არამედ თავად აღსაზრდელებთან შეხების, მათთან კომუნიკაციის, სწორი მიდგომის განსაზღვრის და სპეციალური საჭიროების აღსაზრდელებთან მუშაობის შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს აღნიშნულ სფეროში მის პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები არიან მოქმედი პრაქტიკოსები (ბაღის ხელმძღვანელები, ბაღის მეთოდისტები) და მათი კომპეტენცია და კვალიფიკაცია არ დგება ეჭვქვეშ.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას აბსოლუტურად ეთანხმება და დაწესებულებას მოუწოდა, რომ მაქსიმალურად ეცადონ და გაითვალისწინონ ის, რადგან ძალიან მნიშნელოვანია, აღმზრდელს უშუალო შეხება ჰქონდეს ბაღის ბავშვებთან.

აღნიშნულს გამოეხმაურა კოლეჯის დირექტორი ნანა ჯოლია და განაცხადა, რომ ისინი მზად არიან გაითვალისწინონ მიღებული რეკომენდაცია და განმარტა, რომ პანდემიიდან გამომდინარე, მათ მხოლოდ აუცილებელ მოთხოვნებზე გააკეთეს აქცენტი და რა თქმა უნდა, მომავალში ისინი მოიაზრებენ აღნიშნული მოდულის სწავლების პროცესში პრაქტიკის ობიექტის ჩართვას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 7).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.

8. შპს კოლეჯი „სიოსთვის“ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებსაკითხისგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ

იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ვიზიტზე მივლენილ ექსპერტებს, კონკრეტულად კი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნანა შარაბიძეს.

ნანა შარაბიძემ ვიზიტის საერთო მიმოხილვით დაიწყო და განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „სიოს“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, მისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, რისთვისაც 2020 წლის 22 და 23 ივნისს განახორციელა ვიზიტი შპს „სიოში“, მისამართზე: ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის N72/დ.

ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგამნამათლებლო პროგრამის განხორციელებისთის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობა, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების პირადი საქმეები, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულება. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა შპს „სიოს“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებს.

ნანა შარაბიძემ ასევე ისაუბრა მათი ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

სასურველია, სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება ახლადშემუშავებული სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესის მოთხოვნების შესაბამისად და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, ასევე შეფასების პროცესი და შემდგომ ვერიფიკაციის პროცესიც აღნიშნული წესების დაცვით განხორციელდეს.

ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები არიან მოქმედი პრაქტიკოსები და მათი კომპეტენცია და კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება მოთხოვნილს.

ამის შემდეგ ნანა შარაბიძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, თუ რატომ შეუმცირა ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენდა დამატებით 126 სტუდენტს და სულ 140-ს უტოლდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ვინაიდან B გარემოს დატვირთვასთან ერთად, მისი A გარემოდ გამოყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების თვალსაზრისითაც პრობლემურია და ამავე დროს კომპიუტერულ კლასში სტუდენტების სამუშაო ადგილების ორგანიზება მოუხერხებელი იქნება A გარემოდ მისი გამოყენების შემთხვევაში, კოლეჯის სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, შეჯერდა კონტიგენტის განსაზღვრის შემდეგ ვარიანტზე: პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 პროფესიული სტუდენტით, რომელშიც მოიაზრება ავტორიზაციის დროს უკვე მიღებული 14 პროფესიული სტუდენტის უფლება და დამატებული 106 ახალი პროფესიული სტუდენტი, რაც ჯამურად მოგვცემს 120 პროფესიულ სტუდენტს 40 სტუდენტიანი ნაკადების მიღების პერსპექტივით.

აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 126 პროფესიული სტუდენტის დამატების ნაცვლად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას დაემატოს 106 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტების მსჯელობას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯი „სიოსთვის“ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

შპს კოლეჯ „სიოს“ (ს/კ: 212797945) დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120-ით**(დანართი 8).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 17 ივლისი.

9. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ განხორციელებული მონიტორინგის დასკვნის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განხილვისა და შეფასების შესახებ ექსპერტთა ანგარიშის განხილვა

აღნიშნული საკითხის განხილვის დასაწყისში გაირკვა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას, თუმცა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი ჰქონდათ წერილი, სადაც ითხოვდნენ 2020 წლის 17 ივლისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგიდან ამოეღოთ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ საკითხის განხილვა. ნანი დალაქიშვილის თქმით, მათ აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით გაეგზავნათ პასუხი და განემარტათ, რომ დღის წესრიგიდან მათი საკითხის ამოღებისთვის დაწესებულების

წარმომადგენლები უნდა გამოცხადდნენ საბჭოს სხდომაზე და თავად უნდა დააყენონ საკითხი შუამდგომლობის შესახებ, რომ ამოღებულ იქნას იგი დღის წესრიგიდან.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა ნანი დალაქიშვილს და აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების გარეშე აღნიშნულ საკითხს ვერ განიხილავდნენ. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსიც ბუნდოვანი იყო და საჭიროებდა მეტად დაკონკრეტებას. გამომდინარე აქედან, ნანა ყუფუნიამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, უზრუნველყოს ამ საკითხის დაზუსტება და მისი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება გადატანილ იქნას საბჭოს შემდეგი სხდომისთვის. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულს.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 17:15 სთ.-ზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	მეღვინე	მესამე	მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010459	60	ქართული	14	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
3	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა)	მეოთხე	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010251	45	ქართული	7	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
4	მზარეული	მეორე	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	ქართული	36	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
5	დურგალი	მესამე	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040952	60	ქართული	11	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
7	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	მესამე	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040769	45	ქართული	9	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
8	ძრავის შემკეთებელი	მესამე	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	14	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
15	მეტყევე (ტყისმჭრელი, ტაქსატორი)	მესამე	მეტყევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის	50	ქართული	12	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

			პროფესიული კვალიფიკაცია 010551				
16	ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი	მესამე	ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010451	77	ქართული	20	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საქართველოს კულტურულ-მემკვიდრეობის გიდი (1)	მეხუთე საფეხური	საქართველოს კულტურულ-მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	95	125	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
							30	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი
							30	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა
2	მეფუტკრე (1)	მესამე საფეხური	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	68	83	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
4	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
							40	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
5	ფილამწყობი (1)	მესამე საფეხური	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	68	83	ქართული	28	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
6	მხატვრული ქსოვილები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში 0214	75	90	ქართული	30	ახმეტის მუნიციპალეტეტი, სოფელი ქვემო ალვანი

7	თექის ოსტატი (1)	მესამე საფეხური	თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080382	66	81	ქართული	30	ახმეტის მუნიციპალეტეტი, სოფელი ქვემო ალვანი
							30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
8	თმის სტილისტი (1)	მესამე საფეხური	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	61	76	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
							40	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
9	ტუროპერატორი (1)	მეხუთე საფეხური	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	94	124	ქართული	26	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
12	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	მეოთხე საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	88	118	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
13	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	118	148	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
							30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
14	მევენახეობა-მეღვინეობა (1 , 2)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა-მეღვინეობაში 0888	88	118	ქართული	60	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
15	მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (2)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეცხოველეობაში (მესაქონლეობაში) 010363	53	83	ქართული	30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	28	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 3

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	24	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ფანჯიკის ქ. №3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	224
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	28
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ფანჯიკის ქ. №3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	84
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	155

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 8

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საექთნო საქმე (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	120	ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).